

საქართველოს პარლამენტის ბიუროს,

საქართველოს მოქალაქეების საინიციატივო ჯგუფის,

პლატფორმა სალამის წევრების

მობ: [REDACTED]

მეილი: [REDACTED]

განცხადება

(ამომრჩეველთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელებასთან დაკავშირებით)

მოგახსენებთ, რომ ჩვენ ვართ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც წლებია ვმუშაობთ საქართველოში სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის საკითხებზე. უნდა ითქვას, რომ რუსეთის იმპერიის, ხოლო, შემდგომში კი საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას თან სდევდა სხვა ფორმის ოკუპაციებიც, მათ შორის საქართველოს მოსახლეობის გვარების ოკუპაციაც. დღეს საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ამასთანავე, საქართველოს მოქალაქეების ერთი ნაწილის გვარებიც არის ოკუპირებული რუსული სუფიქსებით (ოვ, ევ და ა.შ.), რაც მოქალაქეების მნიშვნელოვან ნაწილს არსებით პრობლემად ესახება.

ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებმა ჩამოვაყალიბეთ საინიციატივო ჯგუფი, სახელწოდებით პლატფორმა სალამი და მოვამზადეთ საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც გვსურს საქართველოს პარლამენტში განხილულ იქნას სახალხო-სამოქალაქო ინიციატივის ფორმით. გვინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს საინიციატივო ჯგუფს, გვსურს, რომ ვიყოთ ამ ინიციატივის ავტორები და ჩავეერთოთ ამ საკითხის განხილვის პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 127-ე მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციაში გაატაროთ ჩვენი საინიციატივო ჯგუფი თანდართული კანონპროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენის მიზნით. აქვე გთხოვთ გადმოგვცეთ სარეგისტრაციო მოწმობა და შესაბამისი ბლანკები 25 000 ამომრჩევლის ხელმოწერის მოსაგროვებლად.

პატივისცემით,

საინიციატივო ჯგუფის წევრთა მონაცემები:



ქამრან მამედოვი (მამედლი), [REDACTED] ([REDACTED]) პ/ნ: [REDACTED]
[REDACTED], მობილურ: [REDACTED]



ზანიაშვილ კასიმოვი (კასიმ ოღლუ), [REDACTED], [REDACTED] პ/ნ: [REDACTED]
მობ: [REDACTED]



აითაჯ ხალილოვა (ხალილლი), [REDACTED], [REDACTED] პ/ნ: [REDACTED]
მობ: [REDACTED]



ფარიდ ასკეროვი (ასკერ), [REDACTED], [REDACTED] პ/ნ: [REDACTED]
მობ: [REDACTED]



რაბილ ისმაილოვი (ისმაილ), [REDACTED], [REDACTED] პ/ნ: [REDACTED] მობ: [REDACTED]



დანართი: საკანონმდებლო პროექტი და მისი განმარტებითი ზარათი.

„სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“
საქართველოს კანონის პროექტი

მუხლი 1. სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, 30/03/2021. სარეგისტრაციო კოდი: 040200010.05.001.016538) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. 64-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „კ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„კ) არატრადიციული/არავთენტური სუფიქსის ჩამოშორებით ან ამავე სუფიქსის შეცვლის გზით მიღებული გვარი, ამ კანონის 65¹-ე მუხლით დადგენილი წესით.“

2. დაემატოს 65¹-ე მუხლი შემდეგი რედაქციით:

„პირს, რომლის გვარიც ბოლოვდება არავთენტური/არატრადიციული სუფიქსით („ოვ“/„ევ“ ან სხვა) უფლება აქვს მოითხოვოს აღნიშნული სუფიქსის გვარიდან ამოღება ან/და მისი შეცვლა ტრადიციული/ავთენტური სუფიქსით დამახასიათებელი იმ გვარისთვის, რომელთანაც პირს კავშირი აქვს ტრადიციიდან, ეთნიკური წარმომავლობიდან, ოჯახური ურთიერთობიდან ან/და რელიგიიდან გამომდინარე.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

რუსეთის იმპერიამ მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული და შემდგომში უკვე საბჭოთა ხელისუფლებამ, მოსახლეობის კონტროლისა და ზუსტი აღრიცხვის გაიოლების მიზნით სავალდებულო გახადა გვარების ე.წ. გაფორმება პირსახელოზე რუსული გვარების მაწარმოებელი (ოვ /ევ ან/და სხვა) სუფიქსების დართვით. ჩვეულებრივ პირის მამის ან პაპის სახელს ურთავდნენ რუსულ სუფიქსებს და ასე იღებდნენ გვარს. საბჭოთა ხელისუფლებამ მეორე მსოფლიო ომის წინ დაიწყო გვარებისათვის სუფიქსების დართვა, აღნიშნული პროცესი დაახლოებით 1950-იანი წლების დასაწყისში დასრულდა.

ზემოაღნიშნული პროცესის შედეგად, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეების დიდმა ნაწილმა დაკარგა ავთენტური გვარი. არსებული მდგომარეობით თითქმის შეუძლებელია ძველი გვარების აღდგენა, ვინაიდან, სამოქალაქო რეესტრის საარქივო დოკუმენტები ან საერთოდ არ მოიპოვება ან ამ დოკუმენტებშიც უკვე რუსული სუფიქსით გადაკეთებული გვარები ფიქსირდება. პირვანდელი, ავთენტური გვარის დაბრუნების სამართლებრივი შესაძლებლობა არ არსებობს.

გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო რეესტრის პრაქტიკა იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება პირის მოთხოვნას ჩამოშორდეს მის გვარს არაავთენტური სუფიქსი და დაუბრუნდეს პირვანდელი სახე არაერთგვაროვანია. კერძოდ, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო აღნიშნულის თაობაზე განაცხადებებს ხან „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ (პირდაპირი აღმავალი შტოს ერთ-ერთი ნათესავის გვარის მიღება) ქვეპუნქტით, ხან ამავე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით (ისტორიული გვარის აღდგენა) ან 66-ე (გვარის კანონიერად აღიარება) და 67-ე (გვარის დადგენა) მუხლებით დადგენილი წესით იხილავს. ნებისმიერ შემთხვევაში, განმცხადებლის მოთხოვნა არ კმაყოფილდება, ვინაიდან, ზემოაღნიშნული რეგულაციები არ პასუხობს განმცხადებლის მოთხოვნებს და არეგულირებს სხვა სამართალურთიერთობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, არარაციონალურად იკარგება დრო, თანხები, ადამიანური და სხვა რესურსები, ხოლო განმცხადებელი სასურველ შედეგს ვერ აღწევს.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა;

მოცემულობა, არაავთენტური გვარების არსებობის შესახებ სადავო არ არის და დაკავშირებულია ისტორიულ ფაქტებთან. როგორც აღინიშნა, ტრადიციული/ავთენტური გვარების დაკარგვას ჰქონდა მასშტაბური ხასიათი, ვინაიდან, გამოიწვია საბჭოთა პერიოდში გვარებთან

დაკავშირებულმა საყოველთაო და მანკიერმა პოლიტიკამ და შეეხო საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილსაც.

ზემოაღნიშნული და სამოქალაქო რეესტრის ხსენებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ საკითხი საჭიროებს სპეციალურ რეგულირებას.

კანონპროექტი უკავშირდება ადამიანის პირად არაქონებრივ უფლებას ჰქონდეს და ატაროს საკუთარი სახელი ავტენტური ფორმით. სახელის უფლება პირადი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-15, ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-8 მუხლებით. საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ მე-17 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის შესაბამისად, ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს. სახელის შეცვლა დასაშვებია. ამისათვის საჭიროა პირის დასაბუთებული განცხადება, რომელიც დადგენილი წესით უნდა განიხილოს სათანადო ორგანომ. პირის სახელი და გვარი მისი პირდაპირი მაიდენტიფიცირებელი მონაცემებია, ამდენად ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში შესაძლოა დაუკავშირდეს მის ღირსებას, პატივს, რეპუტაციას და არსებითად მნიშვნელოვანი იყოს მისი იდენტობის განსაზღვრის, თვითგანვითარებისთვის, საზოგადოებრივ, სამართლებრივ, ქონებრივ თუ სხვა ურთიერთობებში სრულფასოვნად მონაწილეობისთვის.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს პრაქტიკაში გამოვლენილი სირთულეებიდან გამომდინარე იმ ხარვეზების აღმოფხვრა, რაც დაკავშირებულია ადამიანისთვის თავდაპირველი, ავტენტური/ტრადიციული გვარის დაბრუნებასთან.

ცვლილების შედეგად გაიზრდება სამოქალაქო რეესტრის საქმიანობის ეფექტიანობა, მოქალაქეები ზედმეტი ბიუროკრატიის, დანახარჯების და სირთულეების გარეშე, მარტივად შემოებნენ შეიცვალონ არაავტენტური გვარები. მკაფიოდ გაიმიჯნება სუფიქსების დამატებით გადაკეთებული გვარების შეცვლის კონკრეტული შემთხვევა, გვარის შეცვლის კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევებისგან.

კანონპროექტი უკავშირდება და მიზნად ისახავს დაიცვას ადამიანის პირადი არაქონებრივი უფლება, ჰქონდეს და ატაროს საკუთარი სახელი ავტენტური ფორმით. საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ მე-17 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის შესაბამისად, ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს. სახელის შეცვლა დასაშვებია. ამისათვის საჭიროა პირის დასაბუთებული განცხადება, რომელიც დადგენილი წესით უნდა განიხილოს სათანადო ორგანომ. პირის სახელი და გვარი მისი პირდაპირი მაიდენტიფიცირებელი მონაცემებია, ამდენად ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში შესაძლოა დაუკავშირდეს მის ღირსებას, პატივს, რეპუტაციას და არსებითად მნიშვნელოვანი იყოს მისი იდენტობის განსაზღვრის, თვითგანვითარებისთვის, საზოგადოებრივ, სამართლებრივ, ქონებრივ თუ სხვა ურთიერთობებში სრულფასოვნად მონაწილეობისთვის.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტში გაჩნდება გვარის შეცვლის დამატებითი და კონკრეტული საფუძველი. ამასთან, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატება 65-ე მუხლი, რომელიც

დეტალურად განსაზღვრავს ამავე კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველით გვარის შეცვლის სპეციალურ წესებს და პირობებს.

კანონპროექტით შემოთავაზებული რეგულაცია დახვეწს და გააუმჯობესებს მოქმედ ნორმატიულ აქტს. დაინტერესებული პირები შეძლებენ მარტივად დაიბრუნონ ავთენტური გვარები, ამასთან, როგორც მათთვის ასევე საკითხის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოსთვის ნათელი გახდება და გამარტივდება ავთენტური გვარების შეცვლის პროცედურა.

კანონპროექტი არ მოითხოვს დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებების/რეგულაციების შემოღებას. კანონპროექტით გათვალისწინებული შემთხვევაზე გავრცელდება გვარის შეცვლის და შეცვლილი გვარის რეგისტრაციის არსებული წესები და პირობები, მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის“ მე-2 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ვადა და საფასური.

დაინტერესებული პირი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებით დამტკიცებული „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის“ მე-6 მუხლით დადგენილი წესით წერილობითი განცხადებით მიმართავს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს.

სასურველი გვარის ავთენტურობასთან დაკავშირებით პირმა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში შეიძლება წარადგინოს ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც სასურველი გვარის არსებობას ადასტურებს. მაგალითად, სხვა პირის პასპორტი, პირადობის/დაბადების მოწმობა ან სხვა. ასევე, გვარის ავთენტურობა პირმა შეიძლება დაადასტუროს მისი ან მისი აღმავალი შტოს რომელიმე ნათესავის ეთნიკური კუთვნილებიდან, ოჯახური ურთიერთობიდან, ტრადიციიდან, ჩვეულებიდან ან/და რელიგიიდან გამომდინარე (მაგალითად, თუ გვარის სასურველი დაბოლოება/სუფიქსი დამახასიათებელია იმ ეთნიკური ჯგუფისთვის, რომელსაც პირი ან მისი აღმავალი შტოს რომელიმე ნათესავი მიეკუთვნება).

გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშნული წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, მათში ცვლილებებისა, შესწორებების და/ან დამატებების შეტანის, აგრეთვე სამოქალაქო აქტებთან დაკავშირებული სხვა მოქმედებების განხორციელებისთვის ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში მითითებულ ინფორმაციას. ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებს უნდა წარედგინოს მატერიალური ფორმით. დოკუმენტების წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში მითითებულ მონაცემებს ან აღნიშნული მონაცემების მიღება სააგენტოს შეუძლია სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან.

აქვე, საქართველოს კანონის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის და 97-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს წინასწარი გამოკვლევის გარეშე უარი განაცხადოს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხზე განცხადების ან შუამდგომლობის მიღებაზე იმ საფუძველით, რომ ეს განცხადება ან შუამდგომლობა დაუშვებელი ან დაუსაბუთებელია. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია: ა) გამოითხოვოს დოკუმენტები; ბ) შეაგროვოს ცნობები; გ) მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს; დ) დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი; ე) დანიშნოს ექსპერტიზა; ვ) გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები; ზ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

ამდენად, თუკი დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი გვარი (შესაბამისი სუფიქსით) უკვე რეგისტრირებულია სამოქალაქო აქტების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში, მისი ავთენტურობა დადგენილად მიიჩნევა და პირს არ მოეთხოვება მისი სასურველი გვარის ავთენტურობის მტკიცება.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი არ უკავშირდება სამთავრობო პროგრამას ან შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმას.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;

იმისათვის, რომ დაცული იყოს პირის უფლება მიიღოს/დაიბრუნოს ავთენტური გვარი მიზანშეწონილია აღნიშნული რეგულაციების შესაძლო მოკლე ვადაში ძალაში შესვლა. შესაბამისად, პროექტის ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის პირველი იანვარი.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას);

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის თანახმად, კანონპროექტი დაჩქარებული წესით განიხილება იმ შემთხვევაში, თუ იგი ითვალისწინებს მხოლოდ კანონში ცვლილებების შეტანას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით;

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე რომლების მოექცევიან ამ კანონპროექტის რეგულირების სფეროში.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტით დადგენილი არ არის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

ბ.1) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება;

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

კანონპროექტი არ გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტი შემუშავდა, ადამიანის უფლებებზე მომუშავე შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით:

1. ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრი;
2. ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
3. ა(ა)იპ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი;
4. ა(ა)იპ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა;
5. ა(ა)იპ ადამიანის უფლებათა ცენტრი.

ამასთანავე, კანონპროექტის შემუშავების პროცესში გვარების ისტორიულ წინამძღვრებთან, გადაკეთება/გარდაქმნის ისტორიულ წყაროებთან, მოვლენებთან/ფაქტებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიღებულ იქნა ისტორიკოსების, ირაკლი ხვადაგიანის და ფარიზ ბაირამოვის პროფესიული მოსაზრებების საფუძველზე.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

არ არსებობს მსგავსი შეფასებები.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში

გვარების შეცვლის მსგავსი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა ლიეტუვაც, რის მოსაგვარებლადაც ლიეტუვის სახელმწიფომ შესაბამისი საკანონმდებლო ნაბიჯები გადადგა. კერძოდ, 2016 წელს ლიეტუვის იუსტიციის მინისტრის მიერ მიღებული ცვლილებების თანახმად, გვარის შეცვლა

შესაძლებელი გახდა შემდეგი საფუძვლის არსებობისას: „პირს შეუძლია მიიღოს განსხვავებული გვარი ამჟამინდელი გვარის ფუძის საფუძველზე (დაბოლოების/სუფიქსის შეცვლითა ან ამოღებით).¹ მსგავსი ჩანაწერის მთავარი მიზანი კი სწორედ სლავური სუფიქსების ჩამოშორება იყო. შედეგად, ლიეტუველებს მიეცათ შესაძლებლობა მათი გვარები ეხსნათ პოლონური, ლატვიური თუ რუსული დაბოლოებებისგან, რათა მათი ტრადიციისთვის შესაბამისი გვარი მიეღოთ.

გარდა ლიეტუვისა, რუსული სუფიქსების გვარიდან ამოღების საჭიროების წინაშე აღმოჩნდა ტაჯიკეთიც. 2020 წელს მიღებული ცვლილებების საფუძველზე, ტაჯიკეთის კანონმდებლობას დაემატა შემდეგი ჩანაწერები: „ბავშვის დაბადების რეგისტრაციის დროს, მისი გვარი არ უნდა ჩაიწეროს -ოვ, -ოვა, -ევ, -ევა დაბოლოებებით.“² დამატებით, კანონის თანახმად, „პირის გვარი განისაზღვრება მამის სახელისთვის ან მამის გვარის ფუძისთვის ტაჯიკეთისთვის დამახასიათებელი დაბოლოებების დამატებით (-i, -zod, -zoda, -on, -yon, -iyon, -yor, -niyo, -far, -pur, -Duht) ან მათი დამატების გარეშე“³

საყურადღებოა, ასევე ესტონეთის კანონმდებლობის მაგალითი. ესტონეთი გვარის რეგისტრაციის შესაძლებლობას იძლევა იმ შემთხვევაში, თუკი პირს რაიმე კავშირი აქვს გვართან ტრადიციიდან, ეროვნებიდან, ოჯახური ურთიერთობიდან ან რელიგიიდან გამომდინარე.⁴ მოცემული ჩანაწერი კი, იძლევა შესაძლებლობას პირმა მიიღოს (ან დაიბრუნოს) ის გვარი, რომელიც დამახასიათებელი არის მისი ტრადიციიდან ან ეროვნებიდან გამომდინარე.

ე) კანონპროექტის ავტორი: ააიპ პლატფორმა სალამ ს/ნ: 404589799

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: არანაკლებ 25 000 ათასი საქართველოს ამომრჩეველი

¹ ლიეტუვის იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 18 დეკემბრის ბრძანება, იხილეთ აქ: <https://e-seimas.lrs.lt/portal/legalActPrint/lt?ifwid=twcznk1m0&documentId=fce619e2735a11e99ceae2890faa4193&category=TAD>

² <https://bit.ly/3zM8ukl>, მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი

³ იქვე, მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი

⁴ <https://www.riigiteataja.ee/akt/13261875>, მუხლი 6